

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება: გეოგრაფიის სწავლების მეთოდика (ზოგადი)

სასწავლო კურსის კოდი :

ლექტორები: იზა ჭინჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 899239353, e-mail : iza709@mail.ru
კონსულტაციების დრო და ადგილი: ყოველი სასწავლო კვირის ორშაბათი, 10 საათიდან 13 საათამდე, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის IV სართული, გეოგრაფიის კათედრა

ვლადიმერ გორგიშელი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 898950732.

კრედიტების რაოდენობა (ECTS): 5 კრედიტი, (125სთ.) საკონტაქტო 45სთ. მათ შორის: 15სთ. ლექცია; 30სთ. პრაქტიკული. დამოუკიდებელი მუშაობისთვის 80სთ.

სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო კურსი პედაგოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სწავლების მეთოდის“ სპეციალობის სტუდენტებისათვის მაგისტრატურაში I კურსზე II სემესტრში.

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია ასწავლოს სტუდენტებს როგორ ასწავლონ, რა ძირითადი პრინციპები გაითვალისწინონ, რა ტიპის გაკვეთილები ჩაატარონ, როგორ დაგეგმონ იგი და როგორ შეამოწმონ მოსწავლეთა ცოდნა

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები: არა აქვს

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	იცის სწავლების ზოგადი მეთოდика	იცის სწავლების პრინციპები, სწავლების მეთოდები, სწავლების ორგანიზაციის ფორმები, გაკვეთილის ტიპები, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების სახეები
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	შეუძლია სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით სწორად შეარჩიოს სწავლების ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები და, შესაბამისად, გაკვეთილის ტიპები. დაგეგმოს შედეგებზე ორიენტირებული გაკვეთილი.

სასწავლო კურსის შინაარსი:

I–V კვირა: თემა 1-2. (ლექცია 5 სთ. პრაქტიკ. 10 სთ.) გეოგრაფიის სწავლების მეთოდის საგანი და ამოცანები. სწავლების დიდაქტიკური პრინციპები: ცოდნის მეცნიერულობის, სისტემატურობის და ამ ცოდნის თანმიმდევრულად შეთვისების პრინციპი; მოსწავლეთა შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი; თვალსაჩინოების პრინციპი; ცოდნა-ჩვევათა მტკიცედ შეთვისების პრინციპი; მისაწვდომობისა და მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პრინციპი; აღმზრდელობითი სწავლების პრინციპი; მხარეთმცოდნეობითი პრინციპი (ლიტ. [1] გვ. 3-9, 62-81)

VI-VIII კვირა. თემა 3. (ლექცია 3 სთ. პრაქტიკ. 6 სთ.) გეოგრაფიის სწავლების მეთოდები. ცალკეული მეთოდების დახასიათება: ზეპირსიტყვიერი მეთოდები, ახსნითი ანუ განმარტებითი, კომენტირებული კითხვის მეთოდი; დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდები, ლექცია, საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დემონსტრირებისა და ილუსტრირების მეთოდი, შრომითი და პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდები, წერითი და გრაფიკული მუშაობის მეთოდები, პროგრამული სწავლების მეთოდები (ლიტ. [1] გვ.97-136)

IX –XI კვირა. თემა 4. (ლექცია 3 სთ. პრაქტიკ. 6 სთ.) სწავლების ორგანიზაციის ფორმები: გაკვეთილი, გაკვეთილის ტიპები და სტრუქტურა, შესავალი გაკვეთილი, კომბინირებული გაკვეთილი, ახალი მასალის ახსნის გაკვეთილი, ცოდნა-ჩვევების განმტკიცების გაკვეთილი, განმაზოგადებელი ანუ განმეორების გაკვეთილი, საკონტროლო ანუ ცოდნის შემოწმება-შეფასების გაკვეთილი, ექსკურსია _გაკვეთილი, გაკვეთილი ღია ცის ქვეშ, კლასგარეშე კითხვის გაკვეთილი (ლიტ. [1] გვ.136-148)

XII კვირა. თემა 5. (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.) გეოგრაფიის გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის სქემის ფორმა, გაკვეთილის მსვლელობა, სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმები: ექსკურსია, სემინარული მეცადინეობა, გეოგრაფიის გაკვეთილის ანალიზის სქემა (ლიტ. [1] გვ.156-165)

XIII-XV კვირა. თემა 6. (ლექცია 3 სთ. პრაქტიკ. 6 სთ.) მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება გეოგრაფიაში, სამუშაო რვეულები გეოგრაფიაში, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა გეოგრაფიაში (ლიტ. [1] გვ.188-195)

სწავლებისა და სწავლის მეთოდები: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები (2) და პრეზენტაცია.

შეფასების კრიტერიუმები: (იხ. <http://tesau.edu.ge/?p=3848#more-3848>)
შეფასების 100% გადანაწილება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება _ მაქსიმალური 60%

მათ შორის: 2 წერითი სამუშაო – 30% (15% X 2).
პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს.
წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.
4 ჯგუფში მუშაობა _ 20% (5% X 4).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში ჯგუფში მუშაობით.

1 ზეპირი პრეზენტაცია _ 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეთანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

დასკვნითი გამოცდა _ მაქსიმალური 40%

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება, როგორც წესი, წერიითი სახით. G გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

შეფასებები არსებობს შემდეგი სახის:

ა) (A) ფრიადი _ მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი

ბ) (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90%

გ) (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80%

დ) (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70%

ე) (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60%

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50% (აქვს დამატებითი გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)

ბ) (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

ძირითადი ლიტერატურა:

თესაუ ბიბლიოთეკა

1. გარსევანიშვილი, ელ., გეოგრაფიის სწავლების მეთოდика, (1985), თბ., თ.ს.უ.